

აბსტრაქტი

ნაშრომში გამოკვლეულია და დადგენილია ძლიერი დაყვანადობების ზოგიერთი სტრუქტურული თვისება და მიღებულია რიგი საინტერესო და მნიშვნელოვანი შედეგებისა. კერძოდ, პირველ თავში, რომელიც ეძღვნება იმუნურობის თვისებების კვლევას ძლიერი დაყვანადობების ტერმინებში, გაცემულია პასუხი ომანაძის და სორბის კითხვაზე და დამტკიცებულია, რომ ჰიპერჰიპერიმუნური s -ხარისხები არ არიან მემკვიდრეობით ზევით გაგრძელებადი. ამავე თავში მოცემულია ჰიპერიმუნური და ჰიპერჰიპერიმუნური სიმრავლების დახასიათებები s -დაყვანადობის ტერმინებში. მეორე თავში, რომელიც ეთმობა Q_1 -დაყვანადობის სტრუქტურული თვისებების კვლევას ნაჩვენებია, რომ რეკურსიულად გადათვლადი Q_1 -ხარისხები არ არის მკვრივად დალაგებული. აგრეთვე განხილულია მარტივ სიმრავლეთა კლასები და დადგენილია მათი კავშირები Q_1 -დაყვანადობასთან. მესამე თავში განხილულია მაქსიმალური სიმრავლების და მათი ზოგიერთი ქვესიმრავლის Q_1 -ხარისხი და ნაჩვენებია მათი კავშირი 1-დაყვანადობასთან. მეოთხე თავი კი ეძღვნება c_1 -დაყვანადობის სტრუქტურული თვისებების კვლევას და მიღებულია მეორე თავში Q_1 -დაყვანადობისთვის მოცემული ზოგიერთი შედეგის ანალოგი c_1 -დაყვანადობისთვის. გარდა, ამისა ნაჩვენებია, რომ ჰემიმაქსიმალურ სიმრავლეს გააჩნია მინიმალური c_1 -ხარისხი.